



MES 9 16 01473666

09/12/2016

საქართველოს პრეზიდენტს,
ბატონ გიორგი მარგველაშვილს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2016 წლის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის შესახებ, კერძოდ:

ა) საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით ცენტრში სულ შემოვიდა 86 განცხადება. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, შესაბამისად, უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიღებულა. ამჟამად წარმოებაშია 3 განცხადება.

ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე დაკმაყოფილდა 78 განცხადება, ხოლო 3 განმცხადებელს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან წარმოდგენილი საკითხების შესახებ ინფორმაციის ფლობა/დამუშავება სცდებოდა ცენტრის კომპეტენციის ფარგლებს.

2016 წლის საანგარიშო პერიოდში, 1 განმცხადებელს ეცნობა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია გადაეცემა ცენტრის რეესტრის ბაზაში მიმდინარე ტექნიკური სამუშაოების დასრულების შემდეგ.

ასევე, 3 განმცხადებელს ნაწილობრივ ეთქვა უარი კორესპონდენციის იმ ნაწილის დაკმაყოფილებაზე, რომლითაც მოთხოვნილი ინფორმაცია, თავისი არსით, წარმოადგენდა არა საჯარო ინფორმაციას, არამედ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ, უშუალოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებასთან დაკავშირებულ, შიდაუწყებრივი ხასიათის დოკუმენტაციას.

ასევე, 1 განმცხადებელს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რადგან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კორესპონდენციაში დასმული საკითხი მოიცავდა არა საჯარო ინფორმაციას, არამედ პერსონალურ მონაცემებს.

კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია.

ამასთან, გაცნობებთ, რომ 2015 წლის 10 მარტს ცენტრის დირექტორის №172 ბრძანების საფუძველზე, საჯარო ინფორმაციის გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად დაინიშნა იურიდიული და ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახურის სამართალშემოქმედების სამმართველოს სპეციალისტი - ნინო მეგენიშვილი, რომლის არყოფნის პერიოდშიც მის მოვალეობას, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ასრულებს იურიდიული და ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახურის სამართალშემოქმედების სამმართველოს სპეციალისტი - გვანცა ბოჭორიშვილი.

გ) საჯარო მონაცემთა ბაზების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ მოთხოვნა ცენტრში არ შემოსულა. პერსონალურ მონაცემთა სხვისთვის გადაცემის თაობაზე შემოვიდა 1 მოთხოვნა.

დ) 2016 წლის საანგარიშო პერიოდში ცენტრის სამი თანამშრომლის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - „შენიშვნა“ და ყველა შემთხვევაში აღნიშნული პასუხისმგებლობის ზომა მოიხსნა ვადაზე ადრე.

ე) როგორც აღინიშნა, ცენტრს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება, ასევე, სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია. ამდენად, რელევანტური საკანონმდებლო აქტების გამოყენების საჭიროებაც არ დამდგარა.

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასა და, შესაბამისად, გასაჩივრებას ადგილი არ ჰქონია.

ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა, შესაბამისად, გასაჩივრებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ თანხის გადახდას, ადგილი არ ჰქონია. ასევე, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიღებულა, შესაბამისად, გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები არ გაწეულა.

პატივისცემით,

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
თამარ სანიკიძე

